ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის ივლისის 1	№ 16 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 121. ა/კსფსრ სახელმწიფო ვაჭრობის—ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოდ რეორგანიზების შესახებ.
„ 122. ხილბოსტნეულის დამზადებათა გეგმისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ხილბოსტნეულის ვაჭრობის გაშლის შესახებ.
„ 123. 1933 წლისთვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.
„ 124. ნატეხი ლითონის შეგროვების თვიურის შესახებ.
„ 125. ა/კსფსრ-ის მე-2 ხუთწლიანი გეგმისათვის მასალების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

121. ა/კსფსრ სახელმწიფო ვაჭრობის—ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოდ რეორგანიზების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის შემდგომი ორგანიზაციულად განმტკიცებისა და აგრეთვე მისთვის მომარაგების სახალხო კომისარიატის მხრით ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით—მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის შედგენილობაში, ა/კ. ვაჭრობისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ვაჭრობის ჯგუფის ბაზისზე, მოეწყოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

2. ა/კსფსრ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო: ა) რესპუბლიკანური მომარაგების სახალხო კომისარიატების მეშვეობით, ანხორციელებს ხელმძღვანელობის გაწევას მომარაგების სახალხო კომისარიატის ყველა რესპუბლიკანური სადარგო შენაერთების მუშაობისათვის ვაჭრობის სფეროში; ბ) არეგულირებს, რესპუბლიკანურ მომარაგების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის იმ სადარგო შენაერთების ცალობითი ქსელის ვაჭრობას, რომელნიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე არიან; გ) ჰგეგმავს და არეგულირებს ა/კსფსრ ვაჭრობის საქმეს და აგრეთვე სდებს გენერალურ შეთანხმებებსა და გარიგებებს საგეგმავი ფონდის შესყიდვისა და რეალიზაციის თაობაზე ვაჭრობის ორგანიზაციების სისტემის ხაზით; დ) უშუალო ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკანური ვაჭრობის ორგანიზაციების მუშაობას ვაჭრობის ორგანიზაციებისათვის კადრების მომზადებისა და დაგეგმვის ხაზით.

3. სამმართველოს სტრუქტურას და შტატს განსაზღვრავს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. თავისი მოქმედებისათვის სამმართველო იხელმძღვანელებს ა/კსფსრ მთავრობისა და სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს დირექტივებს.

5. ნება დაერთვას ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შედგენილობაში შემავალი შემსყიდველი კონტორა („ზაკუპტორგ") ვაჭრობის ორგანიზაციების მინდობილობათა შესასრულებლად მათთვის არაცენტრალიზებული წესით გასასაღებელი საქონლის შესყიდვისა და გაყიდვისათვის და აგრეთვე დეცენტრალიზებულ წესით ბითუმად შესასყიდი და დასამზადებელი საქონლისა—ამ საქონლის, როგორც საერთო წესი, ტრანზიტად ვაჭრობის ორგანიზაციების ადრესში გატარებით; ამასთანავე, უკეთუ ვაჭრობის ორგანიზაციები უარს იტყვიან ამა თუ იმ შესყიდულ საქონელზე ა/კ. შემსყიდველ კონტორას უფლება აქვს ეს საქონელი სხვა ორგანიზაციებს მიჰყიდოს;

ბ) გამოჰყოს ა/კ. ვაჭრობის შედგენილობიდან უცხოელთა მომმარაგებელი ამიერკავკასიის კონტორა („ზაკინსნაბ") და დაუქვემდებაროს იგი უშუალოდ ვაჭრობის სამმართველოს.

6. მიენდოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაამტკიცოს დებულება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ, ხოლო ამ სამმართველოს უფროსს—დებულებანი: ა) ა/კ. შემსყიდველი კონტორის შესახებ და ბ) უცხოელთა მომმარაგებელი ა/კ. კონტორის შესახებ—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ივნისის 10.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა კაბჭოსი.

122. ხილბოსტნეულის დამზადებათა გეგმისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ხილბოსტნეულის ვაჭრობის გაშლის შესახებ.

საბჭოთა ვაჭრობის მაქსიმალურად გაშლისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ვაჭრობის ბაზარზე და კოლექტიურ მეურნეობების დუქნებში ფართოდ გაშლის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ვალდებულებანი 1932 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის კონტრაქტაციის ხაზით: კარტოფილი—30.000 ტონნადან 13.000 ტონნამდე, ბოსტნეული და ბაღჩეული—89.000 ტონნადან 28.200 ტონამდე, წიპწოვანი ნაყოფი—40.500 ტონნადან 20,000 ტონნამდე და საჭმელი ყურძენი—5.000 ტონნადან 2.500 ტონამდე.

2. მოიხსნას საკონტრაქტაციო ვალდებულებანი იმ კულტურების ხაზით, რაც დამზადებათა ცენტრალიზებულ გეგმაში არ შედის, გარდა საკონსერვო ნაყოფგადამმუშავებელი მრეწველობის საჭიროებისა ამ მრეწველობის ზონებში.

საკონსერვო და ნაყოფგადამმუშავებელი მრეწველობის ზონებში (თხილ-კაკალ-საწმედი ქარხნები, სამომხმ. საზოგად. კავშირები და სხვ.) ამ მრეწველობისათვის საჭირო ყველა კულტურის კონტრაქტაციის თაობაზე დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებანი დატოვებულ იქნეს ძალაში და კონტრაქტანტები უზრუნველყოფილ იქნენ პურის მომარაგებით პირველ რიგში.

3. აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებმა შემცირებული გეგმის რაიონებზე განაწილების დროს ანგარიშში უნდა მიიღონ, რომ პირველ რიგში შემცირებულ უნდა იქნეს ან სრულიად მოიხსნას საკონტრაქტაციო ვალდებულებანი ტფილისისა, ბაქოს და ერევანის საგარეთუბნო რაიონებში და აგრეთვე სხვა სამრეწველო რაიონებში (ერევანის რაიონში საკონსერვო ქარხნისათვის ნედლეულის ჩაბარების ვალდებულების დატოვებით).

4. 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად განსაკუთრებული დანიშნულების სამრეწველო ცენტრების უზრუნველსაყოფად საჭირო ხილბოსტნეულის დამზადებათა ცენტრალიზებული გეგმა (საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის გარდა) საკონსერვო და ნაყოფგადამმუშავებელი მრეწველობისა დამტკიცებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით (ტონნობით):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
კარტოფილი	4.000	3.000	6.000	13.000
ბოსტნეული	8.250	8.000	11.950	28.200
წიპწოვანი ნაყოფი . . .	12.000	500	7.500	20.000
საჭმელი ყურძენი	1.800	700	—	2.500
კურკოვანი და სხვა ნაყოფი .	500	3,200	1.300	5.000
გახმობილი ხილი	6.700	—	630	7.330

5. წინადადება მიეცეს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს—გადასინჯონ სათანადოდ მიმდინარე წლის ივლისის 1-დე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი.

6. დაეკვალოს საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებს—მაქსიმალურად გაშალონ ხილბოსტნეულის დამზადება საბჭოთა ვაჭრობის წესით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელი მოსახლეობისათვის მისაყიდად.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა აღკვეთონ ადგილობრივი ორგანოებისა და ძირითად დამზადებლების ყოველგვარი ცდა—დააბრკოლონ და გააძნელონ ორგანიზაციების მიერ საბჭოთა ვაჭრობის წესით შესყიდული ხილბოსტნეულის გამოზიდვა.

7. რადგანაც დამზადებათა დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ სასურსათო კარტოფილის დამზადებას, დაეკვალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იხმაროს თავისი ხაზით ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს 1933 წლის თესვის კამპანიას თესლით და პირველყოვლისა კოლექტიურ მეურნეობებში სათესლე ფონდების დაგროვებას.

8. ზამთრის პერიოდში საზოგადოებრივი კვებისათვის ხილბოსტნეულის პროდუქციის მარაგის შექმნისა და შენახვის მიზნით დაეკვალოს სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირს და „ხილბოსტნეულ-კავშირს"—შექმნან ხილბოსტნეულის სათანადო რეზერვები; ამასთანავე, მათ უფლება არა აქვთ ხარჯონ ეს რეზერვები სხვა საჭიროებისათვის.

9. დაეკვალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ სრული ხელისშეწყობა კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ხილბოსტნეულის ვაჭრობის განვითარებისათვის და აღკვეთონ კერძო მოვაჭრეებისა და ჩარჩ-სპეკულიანტების ყოველგვარი ცდა გამდიდრდენ ამ ვაჭრობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. სვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

123. 1933 წლისთვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

„სოფლებსა და ქალაქებში 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივნისის 10-ის დადგენილების თანახმად და ამ დადგენილების 1, 2 8, 16, 18 და 27 მუხლების განსავითარებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ შეავსონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი შემდეგი ნუსხა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მექანიზირებული ტრანსპორტისა, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესით:

1. ტრაქტორები ყოველგვარი სისტემისა.
2. გუთნები ყოველგვარი სისტემისა (სატრაქტორო, საცხენო).
3. ფარცხები სატრაქტორო და სადისკო (თეფშოვანი).
4. მწკრივად მთესავი მანქანები ყოველგვარი სისტემისა.
5. საცხენო ფარცხები.
6. მარცვალსაწმენდი მანქანები (სანიავებლები, დამხარისხებლები, გორველის გადამრკვევი, ტრიერები. და სხვ. მისთ).
7. კომბაინები.
8. რთული და უბრალო სალეწი მანქანები.
9. სამკალი მანქანები და სხვა მისთ.
10. სათიბი მანქანები.
11. ძნის საკრავი მანქანები.
12. თივის საწნეხი მანქანები.
13. ლოკომობილები და სხვა მექანიკური ძრავები.
14. მექანიზირებული ტრანსპორტი.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ შემოიღონ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების 1 მუხ. გათვალისწინებული ამა თუ იმ სახის დაზღვევა ისეთ ადგილებშიაც, სადაც გასულ წელს ეს დაზღვევა არ გატარებულა.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დაწესებულ იქნეს სადაზღვეო საზღაურის შემდეგი საშუალო ნორმები დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაზღვევად:

რესპუბლიკები	მარცვლეული, ცერცოვანი, მზეუჭვრიტა, ნათესი ბალახი და სასილოსო კულტურები		ბოსტანი, ბალჩა, ბაღი და ვენახი		კარტოფილი, ფესვნაყოფა და ტეხნიკ. კულტ., იმ კულტურების გარდა, რაც იზღვევა მოუსავლობისაგან.	
	კოლმეურნეობა	კერძო სექტორი	კოლმეურნეობა	კერძო სექტორი	კოლმეურნეობა	კერძო სექტორი
აზერბაიჯანის სსრ . . .	79	60	577	469	229	191
სომხეთის სსრ	89	63	653	521	155	120
საქართველოს სსრ . . .	81	62	612	515	178	123

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დასაზღვევად დაწესებულ იქნეს სადაზღვეო საზღაურის შემდეგი საშუალო ნორმები:

	კოლმეურ-ნეობანი	კერძო სექტორი
აზერბაიჯანის სსრ	96	84
სომხეთის სსრ	88	78
საქართველოს სსრ	92	80

5. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაში და ამა დადგენილების მე-3 და 4 მუხლებში აღნიშნული საზღაურის ნორმების ფარგლებში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები საზღაურის ნორმებს რაიონებისა და ქალაქებისათვის აწესებენ ისეთი ვარაუდით, რომ რესპუბლიკაში უცვლელად დარჩეს საერთო სადაზღვეო თანხა, რაც განსაზღვრულია რესპუბლიკისათვის დადგენილი ნორმებით.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ ვაადიდონ და შეამცირონ შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების მე-5 მუხ. აღნიშნული სადაზღვეო ნორმები გვალვისაგან სელისა და კანაფის დაზღვევისათვის არა უმეტეს, ვიდრე 25 %-ით.

7. დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაზღვევად დაწესებულია შემდეგი საშუალო სატარიფო განაკვეთები:

	კოლმეურ-ნეობანი	კერძო სექტორი
აზერბაიჯანის სსრ	1,93	3,30
სომხეთის სსრ	2,33	4,50
საქართველოს სსრ	2,43	4,70

8. შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების მე-11 და 13 მუხლებით და ამა დადგენილების მე-7 მუხლით განსაზღვრული საშუალო სატარიფო განაკვეთების ფარგლებში აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები აწესებენ განაკვეთებს რაიონებისა და ქალაქებისათვას.

ამასთანავე, სეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის განაკვეთები დიფერენცირებულ უნდა იქნენ სეტყვასაშიშროების ზოლების მიხედვით და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვამგრძნობიარობის კლასების მიხედვით.

9. კულაკური მეურნეობანი და აგრეთვე საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგების კვალობაზე დაბეგრილი პირნი თავიანთ ხვედრ სადაზღვეო გადასახადს იხდიან მთლად არა უგვიანეს 1932 წ. სექტემბრის 1-სა.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის სადაზღვეო გადასახადის შესატანად დადგენილია შემდეგი ზღვრული ვადები (% %-ბით რესპუბლიკაში აღრიცხული სადაზღვეო გადასახადის საერთო თანხაზე):

ა) კოლექტიური მეურნეობებისათვის:

	1932 წ. IX/15-თვის	XI/1-თვის	XII/1-თვის
აზერბაიჯანის სსრ	30	30	40
სომხეთის სსრ	30	30	40
საქართველოს სსრ	25	30	45

ბ)ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობებისათვის და კოლმეურნეებისათვის:

	IX/15 თვის	XI/1-თვის	XII/1-თვის
აზერბაიჯანის სსრ	30	40	30
სომხეთის სსრ	30	40	30
საქართველოს სსრ	20	40	40

11. აღნიშნული ვადების მიხედვით სადაზღვეო გადასახადის შეტანის ვადებს რესპუბლიკები აწესებენ ისეთი ვარაუდით, რომ მთელს რესპუბლიკაში დადგენილ ვადაზე შევიდეს არა ნაკლებ სადაზღვეო გადასახადის იმ ნაწილისა, რაც ამ ვადაზე მოდის.

12. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ გარდაანაწილონ რაიონებს შორის ხანძრისა, წყალდიდობისა და საქონლის გაწყდომის წინასწარ თავიდან ასაცილებლად და ამ მოვლენებთან საბრძოლველად გადადებული 10%-იან ანარიცხიდან არა უმეტეს 2 პროცენტისა, ხოლო დანარჩენი 8 პროცენტი მიიქცევა უშუალოდ ადგილობრივ სახსარში ადგილობრივი ბიუჯეტით.

სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში უშუალოდ მისაქცევი ანარიცხის რაოდენობას (10%-იანი ანარიცხიდან) აწესებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 27.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

124. ნატეხი ლითონის შეგროვების თვიურის შესახებ.

1. ლითონის რესსურსების მობილიზაციისა და შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადებისათვის წარმოებული მუშაობის გაძლიერების მაზნით ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ-ში ა/წ. ივლისის 1-იდან აგვისტოს 1-დე შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების თვიური.

2. რათა თვიური წარმატებით იქნეს ჩატარებული:

დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. მომარაგების სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისარიატისა, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და ა/კ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის უწყებათ და საწარმოთ—გამოჰყონ ქარხნებსა და საწარმოებში სპეციალური მომუშავენი, რომელნიც ქარხნების საზოგადოებრიობასთან, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და ალკკ-ის წარმომადგენლებთან და დამკვრელ-მუშებთან ერთად, მოაწყობენ როგორც საწარმოში მთლიანად, ისე საამქროებში შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვებას.

ნატეხი ლითონის შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საჭირო მუშაობის ხელმძღვანელობა და პასუხმგებლობა ამ მუშაობის ჩატარებისათვის დაეკისროს საწარმოთა დირექტორებს.

3. დაევალოს ქარხანათა და საწარმოთა ადმინისტრაციას—თვიურის განმავლობაში:

ა) ჩაატაროს მთლად ეზოებისა, საწყობებისა, სარდაფებისა, სასხვენო სადგომებისა და საამქროების გაწმენდა დაგროვილი ნატეხი ლითონისაგან და მთლად ის სალითონო ქონება, რაც საწარმოს მიერ არ გამოიყენება, ჩამოსწეროს ნატეხ-ლითონად და დაუყოვნებლივ ჩააბაროს ნატეხ-ლითონის ტრესტს;

ბ) გადასინჯოს ხმარებიდან გამოსული მთელი გაწყობილობა და მანქანებისა და დაზგების ის სათადარიგო ნაწილები, რაც გამოყენებული არ არის საწარმოში, ნატეხ-ლითონად გადატანისა და ნატეხ-ლითონის ტრესტისათვის ჩაბარების მიზნით.

4. სამხარეო, რესპუბლიკანურმა და სარაიონო პრესსამ სისტემატიურად უნდა გააშუქოს ნატეხ ლითონის შეგროვების თვიურის მსვლელობა.

5. დაევალოს ყველა საბჭოთა ორგანიზაციას—უზრუნველჰყოს ხელმძღვანელობის გაწევით თვიურის ჩატარება, მოახდინოს ფართო საზოგადოებრიობისა, საბინაო ამხანაგობებისა, სკოლებისა, საბჭოთა წევრებისა და საპროფკავშირო აქტივის მობილიზაცია კამპანიის ჩატარების გარშემო.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 27.
№ 483.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

125. **ა/კსფსრ-ის მე-2 ხუთწლიანი გეგმისათვის მასალების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომის 1932 წ. მაისის 5-ის დადგენილების შესაცვლელად და „მე-2 ხუთწლიანი გეგმის შესადგენად საჭირო სამუშაოების მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 25-ის დადგენილების განსავითარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დაწესებულ იქნეს შემდეგი ახალი ვადები 1933—37 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის მასალების წარდგენისათვის:

ხუთწლედის წინასწარ ვარიანტს ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატები და უწყებები და ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საკავშირო ორგანიზაციები, ნაცვლად წინად დანიშნულ ივნისის 20-ის ვადისა, წარადგენენ ივლისის 15-ს.

რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიები ხუთწლედის თავიანთ ვარიანტს, ნაცვლად ივლისის 5-სა, წარადგენენ ივლისის 25-თვის.

ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია ა/კსფსრ ხუთწლიანი გეგმის წინასწარ ვარიანტს წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აგვისტოს 10-ს, ნაცვლად ა/წ. ივლისის 15-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 27.
№ 485.
ტფილისი.

მთავლიტი—2078. სახკომსაბჭოს სტამბი. დაკვეთა—1239. ტირაჟი—1400.